ზოგადსაგანმანათლებო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 81

2017 წ. "26" 06

ქ. თბილისი

შპს მეგასკოლისთვის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ

დაწესებულების მიერ მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მესამე პუნქტისა და 34-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს მეგასკოლას (ს/კ: 445484146) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 240-ით.
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 26 ივნისის №19 სხდომის ოქმის მეორე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით (შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით (შემდეგ მისამართზე: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

თავმჯდომარე
გრიგოლ მურღულია

მდივანი
თამარ ფხალაძე